


აჭარის რეგიონის სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური ანალიზი


2022 წელს ბათუმის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავლმა შეადგინა 34.1 მილიონი ლარი, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 45%-ით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში ზრდა 7%-ია. ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ძირითადი ნაწილი (82%) სამორინეებიდან არის მიღებული, სათამაშო ბიზნესის სხვა ტიპის სუბიექტებზე მოსაკრებლების მხოლოდ 18% მოდის.

ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2017-2022 წწ.)



2022 წელს აჭარაში, კერძოდ ქალაქ ბათუმში, ფუნქციონირებდა 11 სამორინე. აღნიშნული სამორინეების მიერ ბათუმის ბიუჯეტში გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 27.9 მილიონი ლარი, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 45%-ით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს - 15%-ით.

ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დინამიკა (2017-2022 წწ.)




ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2022 წ.)



2022 წლისათვის სამორინეებში სათამაშო მაგიდების რაოდენობა იყო 196, ხოლო სათამაშო აპარატებისა - 1273.


სათამაშო მაგიდებისა და აპარატების რაოდენობა სამორინეებში (2017-2022 წწ.)



გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტისა, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჩარიცხვა ხდება ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალურ ბიუჯეტში. 2022 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალურ ბიუჯეტში ჩარიცხულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 2.4 მლნ ლარი.


2022 წელს აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში რეგიონში მოქმედი სამორინეების მიერ გადახდილმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 20.9 მილიონი ლარი, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 140%-ით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში ზრდა 54%-ია.

აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში სამორინეების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი
(2017– 2022 წწ.)



2022 წელს აჭარაში მოქმედ სამორინეებში ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 951 ათასი შეადგინა. ვიზიტორთა 87%-ს არარეზიდენტი ვიზიტორები წარმოადგენდნენ.

სამორინეებში ვიზიტორთა რაოდენობა
(2022 წ.)



2022 წელს სამორინეებში დასაქმებული იყო 4000-მდე ადამიანი.